

1
1962

ნახ. ა. კანდელაკისა

№ 4

თბილისი თბავაკვალი

1962

ნიანგ

გამოცემის XXXX წელი, ფასი 20 კპპ.



.ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები ღია ცის ქვეშ ტოვებენ შეტენილ ტექნიკას და არ იყენებენ მშენებლობაზე.

„დაიგვიანეს, ჯერ არხად ხჩანან...“
ჩვენ კი ცისა ქვეშ აქ ვიუანგებით!



— მოქალაქე. თქვენ წითელზე გადადიხართ!
— არა. ჭერ ისევ თეთრ ღვინოს ვსვამ!

ბავშვებს და ჯერ განათობა...

მოკითხვა და კეთილი სურვილები კეთილი ადამიანის გულს უნდა ახარებდეს, და, რაც კეთილს გაუხარდება, ის თუ გეწყინა, უნდა დაუკვირდეს შენს თავს, გულში ჩაიხედოს და სათანადო დასკვნა გააკეთოს, არადა, არ ყოფილხარ, ძამია, კარგი კაცი და ახია კიდევ ყველა ჯურის თავსლაფს შეუშვირო შერცხვენილი თავი.

ყველა სახის ნაცნობი და მეგობარი გამაჩნია და ზოგიერთებს მაინც რომ არ მივუხმობილო, ასე იტყვიან, უკადრისი ყოფილა, ტყუილად ვცემდით პატივს, ტყუილად მიგვიჩნევია გაჭირვების ტალკვესადო.

ჰოდა, ასე მომპაპართ ყური და ისმინეთ ჩემი.

კარგი გამარჯობა შენი, მიხეილ კეზერაშვილო! შენ ყველა არ გიცნობს, მაგრამ შენი სანაქებო საქმეები იმად უთუოდ ღირს, ყველამ გაგიცნოს. ექვსი შვილი გყავდა და ერთადერთი ცოლი. ერთ შშენიერ დღეს მოგებრანა, დატოვე ცოლიცა და ექვსივე შვილიც, დატოვე სამსახურიც და დანაჯარობ, ხან აქ მსახურობ, ხან იქ, არ გინდა, გაგიგონ, სად მსახურობ, რას იღებ, ვაითუ, აღიმენტი მომთხოვონო.

შენ მარტო არა ხარ, მიხეილ, შოთა შანიძეც შენს დღეშია, სიჭაბუკეში შექმნილ ოჯახს წიხლი რომ კრა, ცოლი და ორი შვილი რომ მიატოვა ბედის ანაბარად და სასამართლოებში დააწოწილეს სამართლის საძებნელად, აღიმენტისათვის, რომელიც ლუკმაპურს ჰქვია და საცხოვრებელი ფართობის მოსაპოვებლად, რომელსაც თავშესაფარს ეძახიან. თვითონ კი ხან აქ რომ ამოყოფს თავს, ხან იქ და გახელებული დაეძებს ახალ გულისფარსა.

ბორის ჭაბუკიანს ჩემი სალამი! არ ვიცი რომელ ცოლთან მოვივა ჩემი ბარათი! რა ვქნა, ჩემო ძმაო, ხელთათმანივით იცვლი ცოლებს და კაცმა რესპუბლიკური ძიებაც რომ გამოატანდოს შაინც ძნელია შენი პოვნა. თუმცა ერთი „პატიოსნება“ გმი გავაჩნია, არც ერთ ნაცოლართან კანონიერად არ ხარ გაყრილი და ყოველ მომდევნო ცოლთან, უსათუოდ რეგისტრირებული ხარ. აფერუმ შენს ვაჟკაცობას. ან ამდენ ახალ-ახალ ცოლს სად შოულობ, ან ამდენ ახალ-ახალ პასპორტს!

შენც გამარჯობა, პეტრე მამინ! შენი ღვაწლიც უნდა მოვისხვნიოთ, როგორც უადრესად ღირსსახსოვარი რამ: ცოლი და ორი შვილი რომ დატოვე და დაზიანებული ტელევიზორების შეკეთებას რომ შეუდექი, ტელევიზორის შეკეთების ფულს წინასწარ რომ იღებ, მერე ტელევიზორის პატრონს თავს რომ ანებებ ტელევიზორის შეუკეთებლად და ცოლის მისამართს რომ უტოვებ, საიდანაც, რა ხანია, სამუდამოდ ამოიკვეთე ფეხი.

თედორე სოკოლოვ! შენც ხომ არ გემცნაურა ამათი ბედი, მგონი, შენც მიატოვე ცოლი და ორი შვილი!

თამაზ ჭაჩიბაია! გახსოვს როგორ ჰპირდებოდი სამუდამო სეყვარულს ეთერ ფოფხაძეს, როცა რაიონიდან თბილისში ჩამოიყვანე და იქორწინე. მერე, შენი შშობლების თანამონაწილეობით, მეუღლეობის უღელი მაშინ რომ გადაიგდე, როცა შვილი გეყოლა. ცოლი თუ არ გეცოდება, შვილისათვის მაინც მიგეხება, შე კაცო. თავშესაფარიც რომ წაართვი და გააგდე უმოწყალო გულით.

შენ კინაღამ დამავიწყდი, ლევან იაშვილო! შენი დავიწყება როგორ იქნება, სიკვდილსამც დავიწყებისხარ! ცოლი შენც გააგდე სახლიდან, ორი შვილიც მიაყოლე ზედ! ქალს ასე უთხარი: წადი დედაშენთან ანუ უფრო ზუსტად, საიდანაც მოთრეულხარ, იქ წაეთრიეო. მერე სასამართლომ აღიმენტის გადახდა მოგისაჯა, მაგრამ სამსახური მიატოვე და ჩუმჩუმად მუშაობ, რათა შენს პატარებს შენი ნამუშევრიდან არ ერგოს ლუკმაპური.

შენთანაც მინდა გასაუბრება, გიორგი მწარიაშვილო! სახელი, რა თქმა უნდა, ჩინებული გაქვს, მაგრამ გვარი, როგორც იტყვიან, პირდაპირ შენზეა ზედგამოჭრილი. აი ის ამბავი მინდა მოგაგონო, რუსთავიდან მოსკოვს მიმავალმა საერთაშორისო ვაგონში უცნობი ქალი რომ დაიმგზავრე, ქმარგაცილებული, ორი ტყუპი გოგონას დედა, სახეც მოგეწონა მისი, საუბარიც, თვინიერებაც, ქალის ოჯახის დანგრევით გამოწვეულ გულისტკივილს მალამოდ რომ დაედე, მხსნელ მესიად რომ მოვლინე გაუბედურებულს, ასეირნე მოსკოვში, ასეი, აჭამე, ალხინე, მივლინების დრო და ჟამი ტკბილად გაატარებინე, საჩუქრებით აავსე და ხელისგულზე ნატარები ჩამოიყვანე. იმ ხნის მანძილზე არც ცოლი გაგხსენებია შენი, არც შვილები, და, რომ ჩამოხვედი, ცოლიც ხელზე შეგაჩერდა და შვილებიც და, ცარიელი ხელი რომ გინახეს, მორიდებით გკითხეს, რატომ არაფერი ჩამოგვიტანეო. შენ უკმეხად რომ მიუგე, ვიარე, ვიარე, მაგრამ სათქვენო ვერაფერი ვიშოვეო. მერე ოჯახზე რომ საბოლოოდ აიცრუე გული, შენს გულის მალამოს ეწვიე, დაივიწყე „აბეზარი“ ცოლიცა და შვილებიც და ახალგაცნობილ ღამაზმანთან გადაგოგმანდი, შენი შვილები ბედის ანაბარა დატოვე რუსთავში და თბილისში გადმოსახლდი, სხვის ორ შვილს დაუწყე მზრუნველობა, შენი შვილები უმამოდ დატოვე და სხვის შვილებს გაუხდი მამად.

ორი ცოლი გყავს, გიორგი, რუსთავში — ხელმოწერილი, თბილისში — ხელმოუწერილი, რუსთავში — თავმინებებული, თბილისში — გაბედნიერებული.

ახლა ქორწილისათვის ემზადები თურმე, რაიმე დახმარება ხომ არ გინდა, სიძევ, შე ძველო!

აბა შენ იცი, როგორ მოუღებენ!

მიხეილ კეზერაშვილო, შოთა შანიძეც, ბორის ჭაბუკიანო, პეტრე მამინო, თედორე სოკოლოვო, თამაზ ჭაჩიბაია, ლევან იაშვილო და გიორგი მწარიაშვილო, თქვენ სულაც არა ხართ გამოთქალისები, თქვენისთანები, სამწუხაროდ, ბევრია კიდევ, მაგრამ, ჯერჯერობით თქვენს „დამსახურებას“ ვამუშუალებთ ბარათით, მერე მათი ჯერიც დადგება.

რიგრიგობით, ყმაწვილებო, ყველა ერთად არ იქნება.

3. ხმალაქი





ქაღალდი



„საქმეს წაახდენს რეგვინი,

ფათერაკს დააბრალებსა“.

საქვეყნოდ ცნობილია ჭიათურა, მაგრამ არც მის რაიონში შემაგალი სოფელი ხრეთია ავად სახსენებელი და უსახელო, ნოტებზე ჩასაწერი სიმღერაც კი არსებობს ამ სოფელზე:

„გაღმა-გამოდმა ხრეთი, დელიაა...“

ახლა იწყება ქეიფი, დელიაა“.

და, რატომაც არა, კაცმა რომ თქვას, სასიმღეროდ და საქეიფოდ კი აქვთ საქმე ხრეთელებს. მათ საშუალო სკოლაცა აქვთ და საავადმყოფოც; ექიმებიც ჰყავთ, ფიზიკოსებიც, მათემატიკოსებიც, ქიმიკოსებიც და სხვა მრავალი საგნის სპეციალისტებიც. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხრეთში დედს და გადმოდულს კულტურული ცხოვრება. აქაური კოლმეურნე გლეხობა, მშრომელი და გამრჯე ხალხია. ერთმანეთში მეზობლობა ხომ სამაგალითო აქვთ. ასევე სამაგალითო მეზობლობა ჰქონდათ ივანე ლოლაძისა და პეტრე არჩვაძის ოჯახებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შავმა კატამ გაირბინა მათ შორის.

დიდი უსიამოვნების მიზეზი სულ პატარა და უბრალო საქმე გახდა. ივანე ლოლაძემ სახლში ლეკვი მოიყვანა და ლაიკა დაარქვა, ცივ ნიავს არ აკარებდა ივანე ლაიკას, მაგრამ ძალღი, მოგეხსენებათ, ძალღობას არ მოიშლის. დაავლებდა პირს ლაიკა ოჯახში რაიმე ნივთს და, გიყვარდეს, დაარბენინებდა გაღმა-გამოდმა ხრეთში. ისიც კი მომხდარა, რომ სხვა რომელიმე მეზობლის რაიმე ნივთი შემოუთრევიდა ლაიკას ივანეს ეზოში და და კაკლის ხის ძირას დაუგდია, მაგრამ ივანე პატროსანი კაცია, მოუძებნია პატრონი და უკან დაუბრუნებია სხვისი კუთვნილი ნივთი.

იმ დღესაც სწორედ ასე მოხდა. მოატანა პირი ივანეს ცალ წინდას ლაიკამ და მოჰკურცხლა მეზობელ პეტრე არჩვაძის ეზოსკენ. იქ დიდხანს დეჭა და წიწკნა წინდა და, როცა გული იჯერა, მიატოვა და მოუსვა ახალი საკბილოს საძებნელად.

და სწორედ ეს წინდა გახდა საწინდარი მომავალი დიდი უსიამოვნებისა და აურზაურისა.

— ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, — გაიძახოდნენ შურაბ არჩვაძე და მისი მეუღლე, მწარე ბლის ტოტზე წამოეცვათ ლაიკას მიერ ნამამაძალღარი წინდა და თან ცეცხლს უკიდებდნენ.

— ხედავთ, მეზობლებო, რას გვიშვრებიან დოსია და ივანე ლოლაძეები? უკვე მერამდენედ გაგვიკეთეს ჯადო, ჯერ იყო და ყველა ავად გავხდით, მერე ჩვენმა მამალმა დაიწყო დამლაშობით ყვირილი, აბა დღე და ღამე რომ შეეშლება მამალს, იმ ოჯახს კარგი მოელოს? დროზე წავადგებინე თავი, თორემ რა გვეშველებოდა. ამას წინათ ჩვენი ჩალის ზვინს წაეკიდა ცეცხლი. ეგ კიდევ არაფერი! მამაჩემს ჭრაქი წაეჭტა და კინადამ ამოზუგა მთელი სარდაფი. მართალია, პირველი ვედრო ივანე ლოლაძემ მოიტანა ჩასაქრობად, მაგრამ ახლა ვხვდები, თურმე ჩვენი თვალის ახვევა უნდოდა.

— კუდიანია, კუდიანი დოსია ლოლაძე. — მიიტანა ახლა იერიში ივანეს მეუღლეზე შურაბის მეუღლემ.

ჩაერიენ საქმეში სოფსაბჭოსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, სირცხვილია, რას ლაპარაკობ, რა ჯადო, რა კუდიანო, მაგრამ არავითარი შეგონება არ იღეს ყურად არჩვაძეებმა.

— რას მეუბნებით, რას! ალიხანაშვილი ქსენია და ლოლაძე დარო გულთმისნები არიან, შეუცდომლად მკითხაობენ, მიწაში რაა, ისიც კი იციან.


— ჰო, რაგა არა, მარგანეცი სწორედ ქსენიამ და დარომ აღმოაჩინეს. — სიტყვა ესროლა რომელიღაც მეზობელმა, — არ გადარია ხალხი ამ მკითხავებმა? ნავუთში და კალინინის სახელობის მალაროს ტერიტორიაზედაც ყოფილან მკითხავეები და თურმე შეძლებიასა და შეყვარების წამალს ნაკეთებან, დადიან და დადიან გასათხოვარი ქალები, ისე, თურმე, გათხოვილებიც არ აკლებენ ხელს. მათაც რა ენადვლებათ, რომოცდაათ-ორმოცდაათ მანეთს ახალ ფულზე ცქნაფავენ მომსვლელებს, ასე ცრურწმენა და დაბრმავება გაგონილა?

— შინაურს არ ენდობით ხომ? — არ იშლიდა თავისას შურაბი, — ახლა, ვნახოთ, სხვაგანაც მეგულებიან გულთმისანი მკითხავეები და მათაც თუ ისევ ის მითხრეს, რაც ჩვენებურებმა, მაშინ რაღას იტყვიოთ ნეტავ? არც მაშინ დაიჯერებთ მკითხავის ნათქვამს?

დრო, რა თქმა უნდა, არავის არ დაელოდა და წავიდა. არჩვაძეების რწმენა კი კიდევ უფრო განმტკიცდა.

— ახლაც არ დაიჯერებთ, რომ კუდიანია დოსია? რომ ჯადოს მიკეთებს? მაგან იყო მსხალი რომ მაჭამა და ავად გავხდი, აბა! გრაკლევი მკითხავიც შეცდა ჰა? ვის სმენია მკითხავი ცდებოდეს, ვის?! ახლა ახალ-

ნახ. ა. კანდელაკისა



— ახალი მეზობელი არ მაძლევს მოხვენებას!
— რას აკეთებს ახეთს?!
— მეც ეგ არ მასვენებს, რომ ვერ გავიგე!

ქალაქში წავალ, იქაურ მკითხავს მივაკითხავ, ჯადო მაქვს ეზოში დამარხული, მეზობლებო, ჯადო! — კრინში გაჰკიოდა შურაბი.

ნეტარხსენებელი ლუარსაბ თათქარიძე რომ წამოახედა ახლა საფლავიდან, აუცილებლად დაუდასტურებდა შურაბს:

— ვეყო, იმ ჩვენს უკულმართ დროსაც აკეთებდნენ ჯადოსა, მაგრამ თქვენ დრომდე თუ შემორჩებოდნენ მკითხავეები, კუდიანები და ჯადოს მკეთებლები, თელეთის სატის მადლს გეფიცებით, არ მეგონა. ბარაქალა, ბარაქალა, შურაბ არჩვაძე.

დღეს, ალბათ, ცოტას თუ სცალია იმისათვის, რომ დაიჯეროს კუდიანის არსებობა, მკითხავის აბდაუბდა და ჯადოს სასწაულთმოქმედი ძალა, მაგრამ იმას კი ნამდვილად არავინ დაიჯერებს, რომ შურაბ არჩვაძე ოცდაათი წლის ახალგაზრდაა, ხოლო მისი მამა პეტრე კი ადგილობრივი სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

გაი, სირცხვილო!
გ. პატარიძე

ყური გაშობუოწყუ სიპონ!

საქართველო
ბიზლირთეკა

ჩემი უკანასკნელი დისერტაცია ეხება საკითხს: კინო როგორც ასეთი. ეს ასე უნდა გავიგოთ — კინო ცოდნის წყაროა და მისგან გვეჭირს ყოველივე სიკეთე. ჩემი პროფესორი თავიდანვე არ დამეთანხმა. ის იმ აზრისაა, რომ კინო ხელოვნებაა და არასოდეს მოგვეცემს იმაზე მეტს, რაც ცხოვრებამ მოგვცა, ან აწი მოგვეცემს.

საკითხის ნათელსაყოფად კინოში წავედი. ვდგავარ. ხალხი ირევა. მიდი-მოდიან. ჯგუფ-ჯგუფადაც მრავლად დგანან და საუბრობენ. ერთი ჯგუფი ახალგაზრდებისა მიახლოვდება. იმ ჯგუფის თაიგული — ბიჭურად თმაშეკრეჭილი უმანდილო მანდილოსანი ვიწროშარვლიან ახალგაზრდას ეუბნება:

— კინოში მარტო რა შემიყვანს, სიმონა ვარ?!
ეს სიტყვა რომ ჩემს გასაგონად იყო ნათქვამი, სამი რამ ამტკიცებდა: ჯერ ერთი, ვიწროშარვლიანი ჩემს განიერ შარვალს ცერად შესცქეროდა. მეორე — კინოში მე ვარ მარტო და მესამეც ის, რომ სიმონი ჩემი სახელია.

ალბათ მიცნობენ. მაყურებელთა დარბაზში შევედით. აქაურობაც სკიდან გამოქცეულ ფუტკრის ოჯახს ჰგავს. ზოგი ადგილს ეძებს, ზოგი — ნაცნობს, ვინ ნაყინს ყიდულობს. სინათლე ჩაქრა და ხალხის დაწყნარებას არაფერი ეშველა. წინა რიგში ერთი მოდაზე წვერულვაშგაპარსული ვაჟი მოდაზე წვერმოშვებულ მეორე ვაჟს და კიდევ ერთ გოგონას ფეხზე დამდგარი უყვება იმ ფილმის შინაარსს, რომელიც ახლა უნდა ვნახოთ.

— შენი ადგილი სად არის? — აწყვეტინებს ულვაშგაპარსულს გოგონა.

— იქით არის. მაიცა, ჯერ გიამბო.

ულვაშგაპარსული ამთავრებს: — მოკლედ, გაგიჟდები, ისეთი მხეცური რამეა! — და ეკრანზე აინთო.

— დაჯე, ტო, სადღა წახვალ! — უთხრეს ულვაშგაპარსულს. ისიც იმ ორს შორის ჩაიჭედა, ჯერ იყურა, უცებ წამოდგა და სიბნელეში გასცა: — წოპე!

— ჰაა!
— აქ დავრჩი!

„მეცნიერება და ტექნიკა“ — დაიწერა ეკრანზე.

მამეცნიერება ცოდნა არ არის? — გავიფიქრე და ჩემს პროფესორს დაუსწრებლად გადავხედე ამაყად.

„ამ უკანასკნელ ხანს, — ისმის დიქტორის ხმა, — თბილისის კამფეტების ფაბრიკაში დაინერგა...“

— ბეჩა, ანეტა, რა უყავი, ქე რომ კამფეტები იყიდე? გვაჭამე, თუ ქალი ხარ...

აშარიშურდა კამფეტებით სავსე პარკი. აშრიალდა „ვერცხლის ქალაქი“ და იმ შრიალს ანეტას მკერდის ხმა ერთვოდა:

— ვუნივერსიტეტშიც მოსულა და ორსართულიანშიც...

— დედა, რამხელაზე აღრიალებენ ამ კინოს! აღარაფერი მესმის. რაო, ანეტა, სად მოსულაო?

— დაწყნარდით, ქალბატონო, კინოში მოხვედით, თუ უნივერსიტეტში? — უტევენ ანეტას წინა რიგებიდან.

— ბეჩა, ჯერ ხომ არ დაწყებულა, რას მერჩით?!

— მამ ეს რა არის? — შევეკითხე ჩემწილად.

— რა არის და... ქრონიკა!..

— რას ქვია ქრონიკა? თქვენ თუ არ გაინტერესებთ, ჩვენ გვინტერესებს...

— თუ გაინტერესებთ, ლოქაში დაბრძანებულიყავით.

საბუთი რკინაზე მაგარი იყო. ხმა ჩავიკმინდე. მაგრამ სხვები არ აღმოჩნდნენ გარემების ხასიათზე. იმატა ზუზუნმა, გუგუნმა, როგორც ძველ ეკლესიაში იციან ბუდიდან აშლილმა კრახანებმა. ეკრანზე გვიჩვენებენ, როგორ გაიხსნა სადღაც ახალი ტიპის კინოთეატრი და დიქტორი კინოს სარგებელიანობაზე ლაპარაკობს. თითქოს საყვარელ ბებერაზე დამადგეს ფეხი. ზუზუნი არ ცხრება. არაფერი მესმის და... იმ ზუზუნს ჩემი კივილიც დაერთო:

— ამხანაგო... აღარ გაათავებთ ლაპარაკს?

— რაა?

— რა და, ხუთი მანეთი სალაპარაკოდ გადაიხადეთ? სახლში გელაპარაკათ უფასოდ.

— ახალი კურსით მელაპარაკეთ. ვოტ იშრო!

— ვოტ ტემე ნა! — მეც ჩავურუსულე გამწარებულმა, — რა დროს კურსია, გაჩუმდით, კინოს მინდა ვუცქირო.

— ამხანაგო! რამხელაზე ყვირით? მოგვასმენინეთ, გვაყურებინეთ! — მომესმა აღშფოთებული ხმა უკანა რიგიდან.

— მე მეუბნებით? — კინადამ გავგიჟდი. — ესენი ლაპარაკობენ და მე მაბრალეებთ?

— ერთი ამ სიმონას უყურე, ტო? — აიჩეჩა ულვაშგაპარსული.

— არ ეტყობა ვინცა ლაპარაკობს?

— როგორ, თქვენ ბედავთ?

— ამხანაგო, გაჩუმდით!

— გამოუძახეთ მილიციას!

— გაჩუმეთ ვიდაცაა, კინო თავდება და არაფერი გავგიჟია!

— მეც მაგას არ ვჩივი?

— თუ ჩივი, კიდევ გაჩუმდებოდით!

— კაცო, ქალო, მე ამათ ვაწყნარებდი...

— ჯერ თქვენი თავი დააწყნარეთ.

— უხ, თქვენი! სულ თქვენი ბრალია, სულ თქვენი!.. — ვუყვირე წვერიანს და უწვეროს.

სინათლე აინთო. ჩემი რიგის ბოლოდან მილიციელი დაცნვით მიცქერის და მეუბნება:

— ერთი აქეთ გამობრძანდით, მოქალაქე!

ნაცემი ძალღვივით ავითრიე წელი და გამოვბრძანდი. მთელი დარბაზი მე შემომცქერის, გაწითლებულ სახეზე პალტოს საყელოს ვიფარებ.

— არ გაგიჟდები, ტო? ამნაირ სიმონებს კინოში როგორ უშვებენ?! — მომესმა წვერმოშვებულის უკანასკნელი ქათინაური.

...მე მუდამ ვამტკიცებდი, რომ კინო ცოდნის წყაროა. მაგრამ იმ დღეს დავთრები დამებნა; თუ წყაროა რატომ არავის სურს ამ წყაროს დაეწაფოს? თუ ხელოვნებაა, განა ისე მდარეა, რომ ეკრანის მაგივრად ერთმანეთს უცქერიან და მოსმენის მაგივრად ერთიმეორეს ესაუბრებიან?! მაგრამ მე მაინც ჩემს აზრს ვადგავარ.


კინო — ცოდნის წყაროა. განა იქ არ შევიტყვე ჩემი სახელის მეორე მნიშვნელობა? თუ ჩუმად ხარ, სიმონა ხარ!

ჩემი აზრი პროფესორს გავანდე. —

— ეე, სიმონ, შენ ეგეც ვერ გავგიჟიაო! — მითხრა და კიდევ მირჩია, — კინო, როგორც ასეთი და კულტურა. — ეს დაარქვი შენს დისერტაციასო.

— გავგიჟდები, დედას გეფიცები.

ნახ. ვ. ჩერნიშოვისა



მუსიკალური შეუფარდებლობა.

გ. რაჭველიშვილი

საკანონმდებლო ნიანგო

ძმარ ნიანგო!

მოგეხსენება, რომ ყოფილი „სოლოლაკის“ უბანი კალინინის რაიონის თითქმის ნახევარი ტერიტორიაა და მოსახლეობითაც მრავალრიცხოვანია.

ამ უზარმაზარ უბანს ემსახურება ორი მარშრუტის ავტობუსი: № 4 და № 6.

სალამოს და ლამის საათებში № 4 ავტობუსი (მგზავრების გარდა) პალტოს, პიჯაკის, შარვლის დილებით, ცალ-ცალი ხელთათმანებით, პალტოს ქამრებითა და სხვა მაკულატურით ივსება. ჰაერში გაისმის გამყიფიანი ხმები:

— „ნუ მიმაჭყლიტე ბალღინჯოსავით“, „დახურე, შოფერ, კარები. დაგეხურა გული“, „ვი, ვიჭყლიტებით სოლოლაკელები“ და სხვა.

№ 6 ავტობუსშიც მსგავსი მდგომარეობაა, მაგრამ № 4 ავტობუსისაგან განსხვავებით აქ ნახავთ სავეტერინარო, მაწვნის ცარიელ ქილებს, ზოგჯერ მოქალაქეთა თავებზე ახრიგინებულ ვედროებს. მიხვდით? კომკავშირის ხეივანს ზემოთ ხომ ოქროყანაა?!

სხვათა შორის, ჭორიკანები ამასაც ამბობენ: საკანონმდებლო ბაზრობა რომ მთავრდება, ავტობუსი ზოგჯერ ოქროყანისაკენაც კი გაინაწივრდება.

ძვირფასო ნიანგო, თუ ქალაქის ტრანსპორტის მესვეურებს „სოლოლაკელთა“ გულისტკივილი არ აწუხებთ, სინდისის ქენჯნას მაინც არ განიცდიან?

2. მებრალიზვილი

საეკონომიკური ნიანგო!

როდესაც მე და ჩემი მომავალი მეორე ნახევარი ორჯონიძის რაიონის მმაჩის ბიუროში შევედით, მზე სრულებით არ ანათებდა, სუსხიანი ქარი ქროდა და ძვალ-რბილში ატანდა.

— დახურე მალე კარები, შე ოჯახქორო, ხომ უყურებ ვიყინებით. — შემომავება ოთახიდან ვილაცამ და პალტოს საყელო აიწია.

მოსაცდელ ოთახში ჩვენზე ადრე მოსულნი ბოლთას სცემდნენ და გამგის კაბინეტისაკენ მოშობილი ბოჩოლებით იყურებოდნენ. მე ღრმად ვსუნთქავდი და, მანევრირებაზე მომუშავე ორთქლმავალივით პირიდან ოზშივარი ამომდიოდა.

— ჩიბურდანიძე! — ამოიძახეს ჩემი გვარი და ჩვენც გამგის კაბინეტში შევავიწყეთ.

— ცხი... ცხი... ცხი... — ამიტყდა ცემინება. — რა სულწასულები ხართ თანამედროვე ახალგაზრდები. გამოშუშულიყავ ლოგინში, ოფლი მოგედინა, გამოჯანმრთლებულიყავი და ისე მოსულიყავი, არა ჯობდა?! — მითხრა შალეში ჯვარედინად გაკრულმა გამგემ.

— აქ შემობრუნა, ბატონო!

— რა გიყო, ჩემო კარგო, შენ გგონია არ მეცოდები? — მითხრა ჩემზე უფრო შეწუხებულმა გამგემ. მე თავი ჩავლუნე და გამტყუნებელივით რაღაცა ჩავიბურტყუნე...

მმაჩის ბიუროდან პირდაპირ ლოგინში ამოვყავი თავი. კარგი, ძვირფასო ნიანგო, ჯანდაბას ჩემი თავი. მე მანდ მეტი მიმსვლელი აღარ ვარ, მაგრამ იმ პატიოსან ქალს რას ერჩიან, დღედაღამე რომ იმ საყინულეში უზით.

3. არაბველი

3. ნიკოლოზიზვილი

არავინ იფიქროს, რომ ზღაპრის მოყოლას ვაპირებდეთ, ამიტომ ვხვდებით რეალურ პიროვნებას — მიხეილ იოსების-ძე სოსიაშვილს, რომელიც ყასბის ტიტულით დამშვენებული თბილისის პირველი მაისის რაიონის საკანონმდებლო ბაზარში ცეკავშირის № 15 ფარდულში მუშაობდა ხორცის გამყიდველად. თავისი „მოდგაწობის“ პერიოდში მიხეილმა შესანიშნავად შეისწავლა ხორცისათვის ძვლის გაყოლები-სა და მყიდველების მოტყუების ხერხები. ამ „რაინდულ“ საქმიანობით მოჰქონდა სოსიაშვილს თავი და „აბეზარი“ მუშტრების პრეტენზიებს მუშტრებით სვდებოდა.

გასული წლის 21 სექტემბერს საკანონმდებლო ბაზარს ესტუმრა ნინა ივანეს ასული მოლჩანოვა თავისი 5 წლის ბავშვით. ნინამ ცეკავშირის ფარდულში მიხეილ სოსიაშვილისაგან იყიდა ხორცი. მიხეილმა არ უღალატა თავის ჩვეულებას, მოზრდილ ძვალს ხორცის პატარა ნაჭერიც დაუმატა და, სანამ სასწორი სწორ სიტყვას იტყოდა, გასაოცარი სისწრაფით ქალაქში შეუხვია მუშტარს. ნინა მოლჩანოვამ შეამჩნია გაქნილი გამყიდველის თაღლითობა და საყვედურით დაუბრუნა ძვლი, რომელსაც პატარა ხორცის ნაჭერიც ახლდა დამატებად.

მიხეილ სოსიაშვილი ლომივით წამოხტა ზეზე, დახლს გადმოახტა და ხორცის დასაჭრელი გრძელი დანა მუცელში ჩასცა მუშტარს. ნინა მოლჩანოვამ სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო და მხოლოდ ექიმების დიდი ზრუნვისა და სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

დაიწყო საქმის გამოძიება. თავის პირველ ჩვენებაში მიხეილ სოსიაშვილი ამბობს, რომ მუშტარმა გამაჯავრა და ამის გამო დანა უმისამართოდ გავისროლოვ, საკუთარი ხელით დანა არავისათვის არ დამირტყამსო. შემდეგ მიხეილმა, ალბათ, იფიქრა ჩემი მოგონილი ზღაპარი მე არ მჯერა და სხვა ვინ დაიჯერებსო და, სახალხო სასამართლოში საქმის გარჩევის დროს, პირველი ჩვენება შესცვალა და განაცხადა, რომ გაბრაზებულმა დანა ხორცის დასაჭრელ კუნძზე დავარტყი, ის ოხერი კი ახტა-დახტა, დახლს თავზე გადაახტა და, ჩემდა დაუკითხავად, მუშტარს მუცელში ჩაესო.

ჩვენთვის არ არის ცნობილი ვინ ახტა-დახტა და ვინ ვისთან მივიდა. ან იყო თუ არა ადგილზე ექსპერტი, რომ პრაქტიკულად ენახა იმ ზღაპრული დანის ხის კუნძიდან ახტომა და დახლის თავზე გადახტომა. ერთი კი ცხადია. ამ ხტუნია დანის ზღაპარმა, როგორც ჩანს, ისე აურყუა გული მოსამართლეს, რომ მან სოსიაშვილს ასეთი მძიმე დანაშაულისათვის მხოლოდ ერთი წლის პატიმრობა აკმარა.

ვფიქრობთ, პროკურატურის მუშაკები დაინტერესდებიან თუ როგორ და რატომ ახტა-დახტა მიხეილ სოსიაშვილის დანა.



მეხის დაცემა ზამთარში.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 15/II-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეჯ. № 293, უფ. 03147 ტირაჟი 40000

ნახ. გ. ლომიძისა



დასავლეთ ბერძენს მიმართვის
უპარკუპი ცდა